ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №490171

ნომერი: AR1100818

თარიღი : 27.12.2012

გაცემის თარიღი : 31.12.2012

გაცნობის თარიღი : 04.01.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , ქუჩა ბელიაშვილი , უ/ნ , N25 თბოსადგური. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჟორჟოლიანი პ/ნ 01022014472
- ფეიქრების 14 გ

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1100818 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიდუბე–ჩუღურეთის რაიონში, დიღმის მასივში, ბელიაშვილის ქ. უ/ნ #25 თბოსადგურის ტერიტორიაზე მდებარე #01.13.01.014.054 საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური სავაჭრო ობიექტის, დამხმარე და სასაწყობო მეურნეობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფართობის სიდიდიდან გამომდინარე (9986კვ.მ), უმჯობესია განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება. სხვა შემთხვევაში, თუ ტერიტორიაზე იგეგმება ერთი ან ორი საპროექტო მოცულობის განთავსება, საკითხის უკეთ განხილვის მიზნით დამატებით წარმოსადგენი გექნებათ ტერიტორიის გენგეგმის ესკიზი.
დამატებითი ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მუხლი 4. წესებში გამოყენებული ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტებას: 3. განაშენიანების რეგულირების გეგმა - არის ქალაქთმმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.
განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შემთხვევაში მოთხოვნა უნდა დაფიქსირდეს უკვე ახალი განაცხადის საფუძველზე შესაბამის ველში.

გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს #2378346;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.